

ცენტრალური ზონისთვის ატმოსფერული
ჰაერის ხარისხის მართვის 2023-2025
წლების გეგმის
2024 წლის იანვარი-ივნისის
მონიტორინგის ანგარიში

სარჩევი

მოკლე შეჯამება.....	3
შესავალი	5
ზოგადი პროგრესი.....	6
დეტალური პროგრესი 1.1 ამოცანასთან დაკავშირებით	8
დეტალური პროგრესი 1.2 ამოცანასთან დაკავშირებით	9
დეტალური პროგრესი 1.3 ამოცანასთან დაკავშირებით	10
დეტალური პროგრესი 1.4 ამოცანასთან დაკავშირებით	11
გამოწვევები და რეკომენდაციები.....	13
კონსოლიდირებული სტატუსანგარიში.....	14


მოკლე შეჯამება

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 7 აგვისტოს N1431 განკარგულებით დამტკიცებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის 2023-2025 წლების გეგმა ცენტრალური ზონისთვის წარმოადგენს სექტორული მიმართულების პოლიტიკის დოკუმენტს. გეგმა მიზნად ისახავს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგისა და მართვის ცენტრალურ ზონაში, რომელიც მოიცავს ქვემო და შიდა ქართლის რეგიონსა და მცხეთის მუნიციპალიტეტს, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებას.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს სამოქმედო გეგმის აქტივობების შესრულების შესახებ ინფორმაციას 2024 წლის 1 იანვრიდან - 2024 წლის 30 ივნისის ჩათვლით. ანგარიშის პროექტი განხილული და შეთანხმებულ იქნა ცენტრალური ზონის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების ხელშემწყობი სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ.

2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით სამოქმედო გეგმის 27 აქტივობიდან სრულად განხორციელდა აქტივობათა 15% (4 აქტივობა). აგრეთვე, მეტწილად შესრულდა აქტივობების 30% (8 აქტივობა), ხოლო ნაწილობრივ შესრულდა - 44% (12 აქტივობა). საანგარიშო პერიოდში სამოქმედო გეგმის აქტივობების განხორციელების პროგრესმა შეადგინა 48%.

გეგმის აქტივობების განხორციელების დონე 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით



ამოცანების ჭრილში განხორციელებული აქტივობების მიხედვით მნიშვნელოვანი პროგრესი შეინიშნება 1.4 ამოცანაში, რომლის აქტივობები 62%-ითაა შესრულებული, ხოლო პასუხისმგებელი უწყებების ჭრილში მნიშვნელოვანი წინსვლა აქვთ მარნეულის და ბოლნისის მუნიციპალიტეტებს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალურ აპარატს და სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს.

საანგარიშო პერიოდში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სისტემის გაძლიერების მიმართულებით გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები. განხორციელდა 185 ობიექტის 213 ინსპექტირება. ინერტული მასალების ამოღებისა და მსხვრევის საქმიანობიდან ჰაერის

დაბინძურების შემცირების მიზნით, შემუშავდა სამართლებრივი აქტის პროექტი და ჩატარდა მიზნობრივი ინსპექტირება 28 ობიექტზე. ამტვერებადი მასალის დამუშავების, განთავსებისა და ტრანსპორტირებისას მყარი ნაწილაკების გაფრქვევების შემცირების მიზნით ჩატარდა 70 ინსპექტირება.

საერთაშორისო მნიშვნელობის გზებზე სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის კონტროლის დანერგვის მიზნით განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები.

ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში 2024 წლის იანვარ-ივნისში რუსთავისა და მარნეულის მუნიციპალიტეტებში მოეწყო 19 რეკრეაციული ზონა, 47 900 მ² ფართობის გზის საფარი, 2 000 მ² ტროტუარი, 1 628 მ² ველობილიკი, დაირგო 650 ძირი ხე-მცენარე. მოეწყო საზოგადოებრივი ტრანსპორტის 30 გაჩერება და დამონტაჟდა 1 ერთეული ელექტრომობილების დამტენი მოწყობილება. შემუშავდა რუსთავის ჭალის ტყის აღდგენის გეგმა.

დასრულდა ქ. რუსთავის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ჰაერის დაბინძურების ზემოქმედების საპილოტე კვლევა. დაიწყო ევროკავშირის პროექტი, რომლის ფარგლებშიც მოხდება ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასების სისტემის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. ცენტრალური ზონიდან გადამზადდა 268 აღმზრდელი/მეთოდისტი სკოლამდელ დაწესებულებებში ინტეგრირების მიზნით.

მრეწველობიდან და ამტვერებადი მასალების შენახვა-დისტრიბუციის სექტორიდან მყარი ნაწილაკებით დაბინძურების პრევენციისთვის საჭიროა აქტიური საზედამხედველო საქმიანობის გაგრძელება. ასევე აუცილებელია უკვე იდენტიფიცირებული დაბინძურების სხვა წყაროების რეგულირების დროულად გამკაცრება. მისასალმებელია საანგარიშო პერიოდში ქუჩების სველი წესით დამუშავების პროცესის განახლება ქ. რუსთავში, რაც გამოწვევას წარმოადგენდა 2023 წელს. ჰაერის აზოტის დიოქსიდის დაბინძურების შესამცირებლად აუცილებელია დამატებითი აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება. ამ მხრივ მისასალმებელია ის აქტივობები, რომლებიც დაიგეგმა 2024-2026 წლების თბილისის აგლომერაციის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმის ფარგლებში. ჰაერის ხარისხის შეფასების სისტემის გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია შესაბამისი დონორული მხარდაჭერის პროექტების დროული განხორციელება.

შესავალი

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 7 აგვისტოს N1431 განკარგულებით დამტკიცებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის 2023-2025 წლების გეგმა ცენტრალური ზონისთვის წარმოადგენს სექტორული მიმართულების პოლიტიკის დოკუმენტს. გეგმა მიზნად ისახავს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებას ცენტრალურ ზონაში, რომელიც მოიცავს შემდეგ მუნიციპალიტეტებს: ხაშურის, ქარელის, გორის, კასპის, მცხეთის, ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკის და თვითმმართველ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი. აღნიშნული მიზნის შესაბამისად სამოქმედო გეგმა აერთიანებს ოთხ ამოცანას, რომელთა განხორციელებაზე პასუხისმგებლები არიან საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებები, სხვა სამთავრობო უწყებები და ქ. რუსთავის, მარნეულის და ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია. ეს ამოცანებია:

- ამოცანა 1.1 - ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის მყარი ნაწილაკებით დაბინძურების შემცირება
- ამოცანა 1.2 - ცენტრალურ ზონაში ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან დაბინძურების შემცირება
- ამოცანა 1.3 - ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ჰაერის დაბინძურების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების სისტემის გაუმჯობესება
- ამოცანა 1.4 - ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლება

წინამდებარე მონიტორინგის ანგარიში მოიცავს სამოქმედო გეგმის ამოცანებისა და აქტივობების შესრულების შესახებ დეტალურ ინფორმაციას 2024 წლის 1 იანვრიდან - 2024 წლის 30 ივნისის ჩათვლით. ასევე ანგარიში მოიცავს განხორციელებულ აქტივობებს 2024 წლის 1 იანვრამდეც, თუკი აღნიშნული საქმიანობა განგრძობითია და იგი მნიშვნელოვანია 2024 წლის იანვარ-ივნისში მიღწეული შედეგის საჩვენებლად.


მონიტორინგის ანგარიში შემუშავდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტის ატმოსფერული ჰაერის სამმართველოს კოორდინირებით პასუხისმგებელი უწყებებისგან მიღებული სტატუს ანგარიშების საფუძველზე. ანგარიში შესაბამისობაშია „პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N629 დადგენილებით განსაზღვრულ პროგრესანგარიშის შემუშავების მეთოდოლოგიასთან.

ანგარიშის პროექტი განხილული და შეთანხმებულ იქნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 31 ოქტომბრის N2-812 ბრძანების საფუძველზე შექმნილი ცენტრალური ზონის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების ხელშემწყობი სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ.

ზოგადი პროგრესი


2024 წლის იანვარ-ივნისში სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაგეგმილი 27 აქტივობიდან მიმდინარეობდა 22 აქტივობის განხორციელება. 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით განხორციელდა სამოქმედო გეგმის აქტივობათა 15% (4 აქტივობა). აგრეთვე, საანგარიშო პერიოდის დასასრულს მეტწილად შესრულდა აქტივობების 30% (8 აქტივობა), ხოლო ნაწილობრივ შესრულდა - 44% (12 აქტივობა). საანგარიშო პერიოდში სამოქმედო გეგმის აქტივობების განხორციელების პროგრესმა შეადგინა 48%.

გეგმის აქტივობების განხორციელების დონე 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით




ამოცანების კრილში განხორციელებული აქტივობების მიხედვით მნიშვნელოვანი პროგრესი შეინიშნება 1.4 ამოცანაში, რომლის აქტივობები 62%-ითაა შესრულებული.

სამოქმედო გეგმის განხორციელების დონე ამოცანების კრილში




სამოქმედო გეგმის განხორციელების პროგრესი ამოცანების კრილში,
%




პასუხისმგებელი უწყებების კრილში აღსანიშნავია, რომ მარნეულის და ბოლნისის მუნიციპალიტეტებმა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალურმა აპარატმა და სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა დაგეგმილი აქტივობები 75% და მეტით შეასრულეს¹.

სამოქმედო გეგმის განხორციელების დონე პასუხისმგებელი უწყებების
კრილში




¹ დაგრძაწე არარის მოცემულ უწყებები, რომელაც მხოლოდ1 აქტივობა აქვს გეგმაში.



დეტალური პროგრესი 1.1 ამოცანასთან დაკავშირებით

ამოცანა 1.1 - ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის მყარი ნაწილაკებით დაბინძურების შემცირება

2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, 1.1 ამოცანის 8 აქტივობიდან 1 აქტივობა სრულად შესრულდა, 2 აქტივობა განხორციელდა მეტწილად, 5 კი - ნაწილობრივ. აქტივობების შესრულების პროგრესმა შეადგინა 48%. აქტივობები ძირითადად განხორციელდა ადმინისტრაციული, საბიუჯეტო და დონორული დაფინანსებით. სამოქმედო გეგმის ფარგლებში 1.1 ამოცანის განსახორციელებლად გამოყოფილი 63 164 999 ლარიდან საანგარიშო პერიოდში დაიხარჯა 13 324 354 ლარი.



1.1 ამოცანის ფარგლებში 2024 წელს გატარებული აქტივობებიდან აღსანიშნავია ცენტრალურ ზონაში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სისტემის გაძლიერების მიმართულებით

გადადგმული ნაბიჯები. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში ცენტრალურ ზონაში გზდ-ს მიერ განხორციელდა 185 ობიექტის 213 ინსპექტირება, მათ შორის, 38 ინსპექტირება განხორციელდა ქ. რუსთავი, რომელიც წარმოადგენს ცენტრალური ზონის ცხელ წერტილს (1.1.3). ამასთანავე, მშენებლობისა და ამტვერებადი სამშენებლო მასალების შენახვა-დისტრიბუციის პროცესში მყარი ნაწილაკების გაფრქვევების შემცირების მიზნით ცენტრალური ზონის მუნიციპალიტეტებმა 70 ინსპექტირება (1.1.2). აღნიშნული პროცესი საანგარიშო პერიოდში ძირითადად ატარებდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 152⁵-152⁹ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევების პრევენციულ ხასიათს და მოხდა იმ პირების გაფრთხილება/ინფორმირება, რომელიც აწარმოებს ამტვერებადი მასალის დამუშავებას, განთავსებასა და ტრანსპორტირებას.

ინერტული მასალების ამოღებისა და მსხვრევის საქმიანობიდან ჰაერის დაბინძურების შემცირების მიზნით, შემუშავდა სამართლებრივი აქტის პროექტი. ამავდროულად, საანგარიშო პერიოდში ცენტრალურ ზონაში ჩატარდა აღნიშნული საქმიანობის მიზნობრივი ინსპექტირება, რომლის ფაგლებშიც შემოწმდა 28 ობიექტი.


1.1 ამოცანის ფარგლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული აქტივობებიდან აღსანიშნავია, რომ საავტომობილო გზის საფარი გაუმჯობესდა დაახლოებით 47 900 მ² ფართობზე (1.1.4). ასევე, შემუშავდა რუსთავის ჭალის ტყის აღდგენის გეგმა 160 ჰექტარი ტერიტორიის აღდგენისა და განვითარებისთვის მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე (1.1.6).

დეტალური პროგრესი 1.2 ამოცანასთან დაკავშირებით

ამოცანა 1.2 - ცენტრალურ ზონაში ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან დაბინძურების შემცირება

1.2 ამოცანის 9 აქტივობიდან 1 აქტივობა სრულად, 4 - მეტწილად, 4 კი ნაწილობრივ განხორციელდა. აქტივობების შესრულების პროგრესმა შეადგინა 52%. აქტივობები განხორციელდა ადმინისტრაციული და საბიუჯეტო ხარჯებით. სამოქმედო გეგმის ფარგლებში 1.2 ამოცანის განხორციელებლად გამოყოფილი 22 156 300 ლარიდან საანგარიშო პერიოდში დაიხარჯა 2 808 413 ლარი.

ამოცანა 1.2-ის აქტივობების განხორციელების პროგრესი



საანგარიშო პერიოდში განხორციელებული აქტივობებიდან აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო მნიშვნელობის გზებზე სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის კონტროლის დანერგვის მიზნით განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები (1.2.6). ცენტრალურ ზონის 3 ავტოგასამართი სადგურიდან აღებულ იქნა დიზელის და ბენზინის 8 სინჯი საავტომობილო საწვავის ხარისხის შემოწმების მიზნით (1.2.7).


ქ. რუსთავში ფეხით გადაადგილების ინფრასტრუქტურა გაუმჯობესდა 2 000 მ² ფართობზე (1.2.1), ხოლო ველობილიკები მოეწყო 1 628 მ² ფართობზე (1.2.2). ასევე, კერძო ინვესტიციით დამონტაჟდა 1 ერთეული ელექტრომობილების დამტენი მოწყობილება (1.2.4). ქ. რუსთავსა და მარნეულის მუნიციპალიტეტში რეაბილიტირდა 19 რეკრეაციული ზონა (1.2.9), დაირგო 650 ერთეული ხე-მცენარე (1.2.8) და მოეწყო საზოგადოებრივი ტრანსპორტის 30 გაჩერება (1.2.3).

დეტალური პროგრესი 1.3 ამოცანასთან დაკავშირებით

ამოცანა 1.3 - ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ჰაერის დაბინძურების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების სისტემის გაუმჯობესება

1.3 ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი 7 აქტივობიდან 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 2 შესრულდა სრულად, 2 - ნაწილობრივ, ხოლო 3 აქტივობის შესრულება არ დაწყებულა. შესრულების პროგრესმა შეადგინა 36%. საანგარიშო პერიოდში აქტივობების განხორციელებაზე არ გაწეულა ხარჯები.

ამოცანა 1.3-ის აქტივობების განხორციელების პროგრესი




საანგარიშო პერიოდში დასრულდა ქ. რუსთავის 30 წელზე მეტი ასაკის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ჰაერის დაბინძურების ზემოქმედების საპილოტე კვლევა, რომლის შედეგები წარედგინა დაინტერესებულ საზოგადოებას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დაიწყო ევროკავშირის პროექტი „ჰაერის ხარისხი მოქალაქეთა უკეთესი ჯანმრთელობისთვის“, რომლის ფარგლებშიც გაფართოვდება ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ავტომატური მონიტორინგის ქსელი, გაიზრდება გრავიმეტრული ხელსაწყოების რაოდენობა და შემუშავდება ჰაერის ხარისხის მოდელი (1.3.1; 1.3.2; 1.3.3).

დეტალური პროგრესი 1.4 ამოცანასთან დაკავშირებით

ამოცანა 1.4 - ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლება

ამოცანა 1.4-ის ფარგლებში დაგეგმილი 3 აქტივობიდან საანგარიშო პერიოდში 2 შესრულდა მეტწილად, ხოლო 1 - ნაწილობრივ. აქტივობების შესრულების პროგრესმა კი შეადგინა 62%. აქტივობები ძირითადად განხორციელდა ადმინისტრაციული და საბიუჯეტო დაფინანსებით, გამოყოფილი 32 000 ლარიდან საანგარიშო პერიოდში დაიხარჯა 4 392 ლარი.

ამოცანა 1.4-ის აქტივობების განხორციელების პროგრესი



ამოცანის ფარგლებში 2024 წელს განხორციელდა შემდეგი მნიშვნელოვანი აქტივობები:

- ჩატარდა 1 გარემოსდაცვითი ცნობიერების დონის ასამაღლებელი ღონისძიება, რომელშიც ჩაერთნენ მედიასაშუალებების წარმომადგენლები მათ შორის ცენტრალური ზონიდან. ჟურნალისტები გაეცნენ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითად გამოწვევებს და ძირითად დამბინძურებლებს.
- ცენტრალური ზონიდან გადამზადდა 268 აღმზრდელი/მეთოდისტი „სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება“ საგანმანათლებლო პროგრამის სკოლამდელ დაწესებულებებში ინტეგრირების მიზნით. ყველა მათგანს გადაეცა შესაბამისი სახელმძღვანელო.

გამოწვევები და რეკომენდაციები

ცენტრალურ ზონაში, განსაკუთრებით კი ქ. რუსთავში მყარი ნაწილაკებით ჰაერის დაბინძურების პრობლემის მოგვარებისთვის მთავარ გამოწვევას ზონაში არსებული მსხვილი საწარმოო ობიექტების მიერ ჰაერდაცვითი მოთხოვნების არასათანადოდ შესრულება წარმოადგენს. აუცილებელია გაგრძელდეს აქტიური საზედამხედველო ღონისძიებები და ასევე საჭიროა ჰაერში გაფრქვევების უწყვეტი თვითმონიტორინგის ელექტრონულ სისტემაში ჩართული საწარმოების მიერ მოწოდებული მონაცემების პროაქტიული მონიტორინგი, რაშიც მთავარი როლი სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს აქვს. დაინტერესებული პირების ინფორმირების მიზნით ინსპექტირების ძირითადი შედეგები უნდა გასაჯაროვდეს.

მნიშვნელოვანი აქტივობაა ასევე სავალდებულოდ შესასრულებელი ქმედებების განსაზღვრა ინერტული მასალების ამოღებისა და მსხვრევის საქმიანობიდან ჰაერის დაბინძურების შემცირების მიზნით. აუცილებელია შემუშავებული სამართლებრივი აქტის პროექტი დროულად იქნას დამტკიცებული, რათა შესაბამისმა საქმიანობის სუბიექტებმა მოასწრონ შესაბამისი ზომების მიღება და ახალი ვალდებულებების დროული განხორციელება.

სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს მყარი ნაწილაკებით დაბინძურების სხვა წყაროებსაც. ამ მხრივ მისასალმებელია ქ. რუსთავში ქუჩების სველი წესით რეგულარული დასუფთავების პროცესის აღდგენა, რადგანაც წლის მშრალ პერიოდებში მნიშვნელოვანი შემარბილებელი ღონისძიებაა მყარი ნაწილაკებით დაბინძურების შესამცირებლად. ამასთან, ამტვერებადი სამშენებლო მასალების შენახვა-დისტრიბუციის პროცესის ზედამხედველობა კვლავაც წარმოებს ძირითადად ინფორმირების/გაფრთხილების ღონისძიების სახით. მომდევნო წლებში, საჭიროების შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნას კანონმდებლობით განსაზღვრული იძულების ღონისძიებები, რათა ზედამხედველობის შედეგად მიღწეულ იქნას დაბინძურების პრევენცია.

კიდევ ერთი გამოწვევაა, ცენტრალური ზონის ქალაქებში ჰაერში აზოტის დიოქსიდის კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვებ ნორმაზე გადაჭარბება, რის მოსაგვარებლადაც საჭიროა დამატებითი უფრო ამბიციური აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება ეროვნულ დონეზე. ამ მხრივ მისასალმებელია ის აქტივობები, რომლებიც დაიგეგმა 2024-2026 წლების თბილისის აგლომერაციის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმის ფარგლებში, რომელთა განხორციელებასაც პოზიტიური ზეგავლენა ექნება ცენტრალურ ზონაში ჰაერის ხარისხზეც.

ჰაერის ხარისხის შეფასების სისტემის გაუმჯობესების მიზნით 1.3 ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად აუცილებელია შესაბამისი დონორული მხარდაჭერის პროექტების დროული განხორციელება.

კონსოლიდირებული სტატუსანგარიში

#	აქტივობა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ვადა	სტატუსი	პროგრესი	დეტალური პროგრესი	მოკლე აღწერა	ფერი	ბიუჯეტი 2023-2025 (ლ)	ბიუჯეტის შესრულება 2024	გამოწვევები, რისკები, რეკომენდაციები
1.1.1	გარემოსდაცვით ტექნიკურ რეგლამენტებს დაქვემდებარებული იმ საქმიანობების იდენტიფიცირება, რომლებიც დაბინძურების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ და მათთვის კონკრეტული, სავალდებულოდ შესასრულებელი ქმედებების დადგენა მყარი ნაწილაკებით დაბინძურების შემცირების მიზნით	დამტკიცებული ნორმატიული აქტი „გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის #17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი	2024 წლის II კვარტალი	მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა	50%	50%	ჩატარდა ინერტული მასალების ამოღებისა და მსხვრევის შედეგად ჰაერის დაბინძურების შემცირების მსოფლიოში არსებული შემარბილებელი პრაქტიკის მოკვლევა. აღნიშნული მოკვლევის საფუძველზე, შესაბამისი საქმიანობიდან ჰაერის დაბინძურების შემცირების მიზნით, შემუშავდა „გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის #17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი, რომლის მიდა განხილვა მიმდინარეობს.		ადმინისტრაციული ხარჯი	ადმინისტრაციული ხარჯი	
1.1.2	მშენებლობისა და ამტვერებადი სამშენებლო მასალების შენახვა-დისტრიბუციის პროცესში მყარი ნაწილაკების გაფრქვევების შემცირების მიზნით დადგენილი მოთხოვნების შესრულებაზე ზედამხედველობის გააქტიურება	ჩატარებული სულ მცირე 90 ინსპექტირება ქ. რუსთავში	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - მეტწილად შესრულდა	61%	89%	2024 წლის იანვარი-ივნისის თვეში ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის ინსპექციის მიერ ქალაქის მასშტაბით ჩატარებული იქნა 20 ინსპექტირება, რის შედეგადაც მშენებლობისა და ამტვერებადი სამშენებლო მასალების შენახვა-დისტრიბუციის პროცესში მყარი ნაწილაკების გაფრქვევების შემცირების მიზნით დადგენილი მოთხოვნის შესრულებაზე გაფრთხილებულები იქნენ შესაბამისი საქმიანობის მწარმოებელი სუბიექტები.		ადმინისტრაციული ხარჯი	ადმინისტრაციული ხარჯი	
ჩატარებული სულ მცირე 36 ინსპექტირება ბოლნისის მუნიციპალიტეტში	ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია	საანგარიშო პერიოდში ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მშენებლობისა და ამტვერებადი სამშენებლო მასალების შენახვა-დისტრიბუციის პროცესში მყარი ნაწილაკების გაფრქვევის შემცირების მიზნით დადგენილი მოთხოვნების შესრულებაზე ჩატარდა 20 ინსპექტირება.										
ჩატარებული სულ მცირე 45 ინსპექტირება მარნეულის მუნიციპალიტეტში	მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია	მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის განყოფილების მიერ, მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებულ დასახლებებში, მშენებლობისა და ამტვერებადი სამშენებლო მასალების შენახვა-დისტრიბუციის პროცესში მყარი ნაწილაკების გაფრქვევების შემცირების მიზნით, დადგენილი მოთხოვნების შესრულებაზე, განხორციელდა 30 ინსპექტირება, რომელიც იყო პრევენციული ხასიათის.										

1.1.3	ცენტრალურ ზონაში არსებული საწარმოების ინსპექტირების, მათ შორის შემოწმებების რაოდენობის გაზრდა	<p>ცენტრალურ ზონაში წელიწადში ჩატარებული სულ მცირე 200 ინსპექტირება, მათ შორის ქ. რუსთავში ჩატარებული სულ მცირე 80 ინსპექტირება</p> <p>ცენტრალურ ზონაში წელიწადში ჩატარებული „გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მტავრობის 2014 წლის 3 იანვრის N17 დადგენილებას დაქვემდებარებული სულ მცირე 2 სექტორის საქმიანობის სუბიექტების მიზნობრივი ინსპექტირება</p>	სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - მეტწილად შესრულდა	74%	74%	<p>2024 წლის იანვარ-ივნისის პერიოდში ცენტრალურ ზონაში განხორციელდა ან მიმდინარეობს 185 ობიექტის 213 ინსპექტირება (მ.შ. გეგმიური - 13 შემოწმება). აღნიშნულიდან 38 ინსპექტირება განხორციელდა ქ. რუსთავში განთავსებული ობიექტებზე.</p> <p>მიზნობრივი ინსპექტირება განხორციელდა გარემოსდაცვით ტექნიკურ რეგლამენტს დაქვემდებარებული საქმიანობებზე - ინერტული მასალების სამსხვრევ-გადამამუშავებელ 28 ობიექტზე და 24 ბენზინ/გაზგასამართ ობიექტზე.</p>		ადმინისტრაციული ხარჯი	ადმინისტრაციული ხარჯი	
1.1.4	ცენტრალურ ზონაში გზის საფარის გაუმჯობესება	ახლად დაგებული და აღდგენილი გზები 134,000 მ ² ფართობზე ქ. რუსთავში	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა	45%	18%	<p>1) საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა აფხაზეთის ქუჩის, VII და VIII მკ/რ-ებს შორის არსებული ქუჩის, ნ. ლომოურის ქუჩისა და VII და VIII მკ/რ-ების დამაკავშირებელი გზების რეაბილიტაციის სამუშაოები. რომლის ფარგლებში უნდა მოეწყო 21 474 მ² ფართობის გზა, 5 530 მ² ტროტუარი, 2303 მ² საველოსიპედო და საფეხმავლო ბილიკები, 4 000 მ² გაზონი, 103 ერთეული გარე განათების ბოძები, ასევე სანიაღვრე ქსელი და სარწყავი სისტემები. საანგარიშო პერიოდში შესრულდა სამუშაოების დაახლოებით 65%.</p> <p>2) საანგარიშო პერიოდში განხორციელდა გრიგოლ ხანძთელის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოები, მოეწყო 5 098 მ² გზა, 2 654 მ² და 324 მ² გაზონი. მოეწყო სანიაღვრე ქსელი 620 მ სიგრძეზე და 21 ახალი გარე განათების ბოძი.</p> <p>3) საანგარიშო პერიოდში დაიწყო ტაშკენტის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოები 569 მ სიგრძეზე, რომელიც მოიცავს 11 000 მ²-მდე ფართობის გზას. პროექტი ითვალისწინებს არსებული გამყოფი ზოლის დაშლას და სავალი ნაწილის გაგანთავსებას, რულონური გაზონის დარგვას, სარწყავი სისტემისა და ახალი სანიაღვრე ქსელის მოწყობას. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სამუშაოების დაახლოებით 25%.</p>		14100000	3804612.95	

		ახლად დაგებული და ადღგენილი გზები 40,000 მ ² ფართობზე ბოლნისის მუნიციპალიტეტში	ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია				90%	სააგარიშო პერიოდში გზის საფარის მოწყობის სამუშაოები ბოლნისის მუნიციპალიტეტში არ განხორციელებულა.	7284800	0
		ახლად დაგებული და ადღგენილი გზები 62,000 მ ² ფართობზე მარნეულის მუნიციპალიტეტში	მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია				74%	2024 წლის 6 თვის მონაცემით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან, მარნეულის მუნიციპალიტეტის 16 დასახლებაში (საბირქენდი; სადახლო; ხოჯორნი; მეწამულა; დიოკნისი; ქუთლიარი; ლეკბადინი; ამბაროკვა; ახკერპი; წერეთელი; საიმერლო; აზიხქენდი; თაზაქენდი; თამარისი; შულავერი; გაჯისაქენდი) განხორციელდა გზის საფარის გაუმჯობესების სამუშაოები, რომლის ფარგლებში ახლად დაგებული და ადღგენილი იქნა 18 596 მ ² გზის საფარი. აღსანიშნავია, რომ 16 პროექტიდან 6 არის მიმდინარე ეტაპზე, ხოლო 10 პროექტი დასრულებულია. აგრეთვე, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის 19 სოფელში (კუმჭუ; ბაითალო; ულაშლო; გიულბახი; ცოფი; ჯანხომი; თაზაქენდი; გაჯისაქენდი; ყუდრო; ქვემო სარალი; ზემო სარალი; ენიქენდი; ამბაროკვა; ქემლო; ხანჯიგაზლო; ბურმა; მოლაოლი; ჩანახჩი; ვერხვიანი) რეაბილიტირდა 8654 მ ² გზის საფარი. შედეგად, სულ საანგარიშო პერიოდში გაუმჯობესდა 27 250 მ ² გზის საფარი.	31197700	9509840
1.1.5	ქ. რუსთავში სველი წესით დასუფთავებული ქუჩების სიგრძის გაზრდა	ქ. რუსთავში ყოველწლიურად სველი წესით დასუფთავებული ქუჩები სულ მცირე 5,000 კმ სიგრძეზე	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა	13%	13%	სველი წესით ქუჩების დამუშავების პროცესი 2024 წლის მარტიდან მიმდინარეობდა რეგულარულად 20 კმ სიგრძეზე შემდეგ ქუჩებზე: შვიდობის, გაგარინის, თბილისის, ლეონიძის. (სკვერის ირგვლივ), მოდებადის, ქუთაისის, მე-18 და მე-19 მრ-ები, შარტავას გამზირი (სასტუმროდან-შემოსასვლელამდე), ლებანიძის ქუჩა. ჯამში დამუშავდა ქუჩები 2000 კმ სიგრძეზე.	75000	9901
1.1.6	რუსთავის ჭალის ტყის ადღგენის გეგმის მომზადება	მომზადებულია რუსთავის ჭალის ტყის ადღგენის გეგმა	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტი	2023 წლის IV კვარტალი	განხორციელდა და დაგვიანებით	100%	100%	რუსთავის ჭალის ტყის ადღგენის გეგმა შემუშავდა 160 ჰექტარი ტერიტორიის ადღგენისა და განვითარებისთვის მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. პროექტი განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით, რაც წარმოადგენს ნაწილს საქართველოს ვალდებულებებისა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში. ინიციატივა მიზნად ისახავს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას, ნიადაგის დაცვას, კლიმატის რეგულირებას და ადგილობრივი მოსახლეობისთვის რეკრეაციული შესაძლებლობების გაუმჯობესებას. გეგმა ითვალისწინებს ჭალის ტყისთვის დამახასიათებელი სახეობების ადღგენას, რაც ხელს შეუწყობს ეკოსისტემის გაუმჯობესებას, ურბანული გარემოს გაჯანსაღებას და ბუნებრივი რესურსების მდგრად მართვას.	59999	0

1.1.7	ქ. რუსთავის მომიჯნავე იაღლუჯის მთის ფერდობის ნაწილობრივი გატყვინებისთვის ნერგების დარგვა	დარგულია სულ მცირე 1000 ძირი ხე-მცენარე	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა	12%	12%	საანგარიშო პერიოდში იაღლუჯის მთის ფერდობზე ხე-მცენარეების დარგვა არ მომხდარა.		31500		
1.1.8	მარნეულის მუნიციპალიტეტში რეაბილიტირებულ / აშენებულ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში (საბავშვო ბაგა-ბაღი) შემის მოხმარებიდან ამოღება უფრო სუფთა ენერჯის გამოყენების გზით	მარნეულის მუნიციპალიტეტში რეაბილიტირებულია / აშენებულია 3 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (საბავშვო ბაგა-ბაღი) და დამონტაჟებულია უფრო სუფთა ენერჯიაზე (მაგ. ბუნებრივ გაზზე, თხევად საწვავზე) მომუშავე გათბობის სისტემა	საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა	30%	30%	საანგარიშო პერიოდში მარნეულის მუნიციპალიტეტის ქ. მარნეულში, სოფელ წერეთელში და სოფელ შულავერში მიმდინარეობდა 180 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღების მშენებლობის სამუშაოები. შესრულებულია სამუშაოების დაახლოებით - 30 %.		10416000	0	პროექტირების დროს მუნიციპალიტეტის მხრიდან მოხდა ადგილმონაცვლეობა, შესაბამისად, დაგვიანდა პროექტების ჩაბარების თარიღი.
1.2.1	ფეხით გადაადგილების დამატებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა ცენტრალურ ზონაში	განახლებული ტროტუარი 60,000 მ ² ფართობზე ქ. რუსთავში	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა	24%	20%	1) საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა რუსთაველის ქუჩის ტროტუარების რეაბილიტაციის სამუშაოები, რომლის ფარგლებში არსებული ტროტუარები უნდა ჩანაცვლდეს ახალი ტროტუარით 2800 მ ² ფართობზე. ასევე 2600 მ ² ფართობზე უნდა მოეწყოს გაზონი სარწყავი სისტემით, გამოივალოს გარე განათების ზომები, დაყენდეს 2 სასმელი წყლის შადრევანი. საანგარიშო პერიოდში მოეწყო 2535 მ ² -მდე ტროტუარი. 2) განხორციელდა გმირთა მოედნიდან რუსთავის ცენტრალურ პარკამდე, ტროტუარების, ველობილიკების, სარწყავი და გარე განათების სისტემების რეაბილიტაციის სამუშაოები. საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობია 12 995 მ ² , მათ შორის ავტომობილის სავალი ნაწილი 415 მ ² , სანიაღვრეს ჯიბეები 106 მ ² , ტროტუარები 3952 მ ² , ველობილიკი 1628 მ ² , გაზონი 6894 მ ² . 3) აფხაზეთის ქუჩის რეაბილიტაციის, VII და VIII მკ/რ-ებს შორის არსებული ქუჩის რეაბილიტაციის, ნ. ლომოურის ქუჩისა და VII და VIII მკ/რ-ების დამაკავშირებელი გზების რეაბილიტაციის სამუშაოების ფარგლებში მიმდინარეობდა ტროტუარების მოწყობა, რომლის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში მოეწყო 1924 მ ² ტროტუარი (ჯამში დაგეგმილია 5530 მ ²). 4) გრიგოლ ხანძთელის ქუჩის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში მოეწყო ტროტუარი 2 654 მ ² ფართობზე. 5) ტაშკენტის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოების ფარგლებში მოეწყო ტროტუარის საფარი 1090 მ ² -მდე ფართობზე. სამუშაოები გრძელდება.		4400000	1235933.96	

		განახლებული ტროტუარი 4,000 მ ² ფართობზე ბოლნისის მუნიციპალიტეტში	ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია				75%	სააგარიშო პერიოდში ტროტუარის მოწყობის სამუშაოები ბოლნისის მუნიციპალიტეტში არ განხორციელებულა.				
1.2.2	ველოსიპედით გადაადგილების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ქ. რუსთავში	მოწყობილი ახალი ველობილიკები 6,500 მ ² ფართობზე მოწყობილი ველოსიპედის პარკირების სულ მცირე 45 ახალი პუნქტი	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა	15%	15%	განხორციელდა გმირთა მოედნიდან რუსთავის ცენტრალურ პარკამდე, ტროტუარების, ველობილიკების, სარწყავი და გარე განათების სისტემების რეაბილიტაციის სამუშაოები, რომლის ფარგლებში მოეწყო ველობილიკები 1 628 მ ² ფართობზე.	705000	148540.5		
1.2.3	ცენტრალურ ზონაში მუნიციპალური ავტობუსების გაჩერებების რეაბილიტაცია/კეთილმოწყობა	დამატებით რეაბილიტირებული/კეთილმოწყობილი სულ მცირე 58 გაჩერება ქ. რუსთავში დამატებით რეაბილიტირებული/კეთილმოწყობილი 3 გაჩერება ბოლნისის მუნიციპალიტეტში დამატებით რეაბილიტირებული/კეთილმოწყობილი 2 გაჩერება მარნეულის მუნიციპალიტეტში	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - მეტწილად შესრულდა	78%	76%	საანგარიშო პერიოდში რეაბილიტირებულია 28 ავტობუსის გაჩერება, მათ შორის თოდრისის #21 მიმდებარედ, ფიროსმანის 13 მიმდებარედ/მოპირდაპირედ, რუსთაველის #8 მიმდებარედ/მოპირდაპირედ, რუსთაველის #44 მიმდებარედ/მოპირდაპირედ, დ. გარეჯის #13 მიმდებარედ/მოპირდაპირედ, მე-19 მკრ. #10 მიმდებარედ, კლდიაშვილის ქ. კარფურის მიმდებარედ, ცურტაველის #1 მიმდებარედ/მოპირდაპირედ, თოდრისას #5 მიმდებარედ, თოდრისა I ჩიხის მიმდებარედ, თოდრისას #15 მიმდებარედ/მოპირდაპირედ, მე-12 მკრ. #7 მიმდებარედ, გრიგოლ ხანციტელის ქ. მიმდებარედ, მოდებამის ქუჩის მიმდებარედ, მე-18 მკრ. მ/ტ. მე-19მკრ მ/ტ., ლომოური ქუჩა სასტუმროს მ/ტ., სანაპიროს ქუჩა #11-ის მოპირდაპირედ, მე-12 მკრ. ლეონიდის ქუჩის მხარეს #12 მ/ტ., მე-12 მკრ. #7ის მ/ტ.	200000	201743,96		
							100%	სააგარიშო პერიოდში ავტობუსის გაჩერებების რეაბილიტაცია ბოლნისის მუნიციპალიტეტში არ განხორციელებულა.	60000			
							100%	მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელში ილმაზლოსა და სოფელ სეთოგოჯალოში მოეწყო ავტობუსების გაჩერებები.	40000	31620		
1.2.4	ელექტრომობილების დამტენი ინფრასტრუქტურის მოწყობა ქ. რუსთავში	დამატებით განთავსებული 8 დამტენი მოწყობილობა	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა	13%	13%	1 ერთეული ელექტრომობილების დამტენი მოწყობილობა დამონტაჟდა მე-12 მკრ-ში ახალაშენებული კორპუსის ღია პარკინგზე.	200000			დონისძიება განხორციელდა კერძო ინვესტიციით, რომლის ოდენობა უცნობია.

1.2.6	ცენტრალურ ზონაში საერთაშორისო მნიშვნელობის გზებზე სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის კონტროლის დანერგვა	გახსნილი სულ მცირე ერთი შემოწმების პუნქტი	სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო	2025 წლის II კვარტალი	მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა	20%	20%	საერთაშორისო მნიშვნელობის გზებზე სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის კონტროლის დანერგვის მიზნით განხორციელდა კვლილებები „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონსა (https://matsne.gov.ge/ka/document/view/6204999?publication=0) და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (https://matsne.gov.ge/ka/document/view/6204991?publication=0).	2500000	0	
1.2.7	საავტომობილო საწვავის ხარისხის კონტროლის განხორციელება ცენტრალურ ზონაში	ცენტრალური ზონის ფარგლებში ყოველწლიურად აღებული საწვავის (ბენზინი, დიზელი) სულ მცირე 20 სინჯი და ჩატარებული ლაბორატორიული ანალიზი	სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - მეტწილად შესრულდა	68%	68%	2024 წელს 6 თვის მდგომარეობით ცენტრალური ზონის ფარგლებში საავტომობილო ბენზინისა და დიზელის საწვავის ხარისხის კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ცენტრალური ზონის ფარგლებში შერჩევითი წესით განხორციელდა ბენზინისა და დიზელის საწვავის სინჯების აღებისა და ლაბორატორიული კვლევის პროცედურები 3 ობიექტის 8 რეზერვუარიდან - სულ 8 სინჯი	120000	17200	
1.2.8	ცენტრალურ ზონაში ახალი მწვანე ნარგავების განთავსება	ქ. რუსთავში დარგული 3,350 ძირი ხე-მცენარე	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - მეტწილად შესრულდა	86%	100%	ქალაქ რუსთავში სხვადასხვა ლოკაციაზე, 2024 წლის 6 თვის განმავლობაში დაირგო 453 ძირი ხე-მცენარე. კერძოდ, ლერმონტოვის ქ. კულტურის და დასვენების პარკი, მე-19 მკრ., მეგობრობის და შარტავას გამზირების შუა გამყოფი ზოლი, კოსტავას გამზირი, მეგობრობის გამზირი (იუსტიციის მ/ტ.) შარტავას გამზირი, ლეონიძის სკვ. ქ. რუსთავის შემოსასვლელის ტერიტორია.	167500	0	ნერგები გამოყვანილი იყო ადგილობრივი საწვინგდან, ამიტომაც ბიუჯეტის ხარჯვა არ მომხდარა.
		ბოლნისის მუნიციპალიტეტში დარგული 1,000 ძირი ხე-მცენარე	ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია				30%	სააგარიშო პერიოდში მწვანე ნარგავების დარგვა ბოლნისის მუნიციპალიტეტში არ განხორციელებულა.	25000	0	
		მარნეულის მუნიციპალიტეტში დარგული 500 ძირი ხე-მცენარე	მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია				100%	2024 წლის 6 თვის მონაცემებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებულმა ა(ა)იპ „სუფთა მარნეულმა“ და შპს „მარნეულის ავტოპარკმა“ საკუთარი ბიუჯეტიდან შეიძინეს 200 ძირი ხე-მცენარის ნერგი (შესაბამისად 150 და 50 ერთეული), რომელიც დაირგო მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ტერიტორიაზე.	20000	8000	
1.2.9	ცენტრალურ ზონაში ახალი რეკრეაციული ზონების შექმნა და არსებული რეკრეაციული ზონების რეაბილიტაცია	ქ. რუსთავში მოწყობილი სულ მცირე 3 ახალი რეკრეაციული ზონა და რეაბილიტირებული სულ მცირე 4 რეკრეაციული ზონა	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - მეტწილად შესრულდა	62%	29%	1) რუსთაველის ქუჩის რეაბილიტაციის ფარგლებში მიმდინარეობდა მწვანე სივრცეების მოწყობა 2600 მ² ფართობზე. სამუშაოების დასაბოლოებით ნახევარი შესრულებულია 2) გმირთა მოედნიდან რუსთავის ცენტრალურ პარკამდე ტერიტორიის რეაბილიტაციის ფარგლებში მწვანე სივრცეები მოეწყო 6894 მ² ფართობზე.	11000000	311026.13	

		მარნეულის მუნიციპალიტეტში მოწყობილი და რეაბილიტირებული სულ მცირე 6 რეკრეაციული ზონა	მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია				100%	საანგარიშო პერიოდში, მარნეულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით მიმდინარეობდა 3 რეკრეაციული სივრცის (ქალაქი მარნეული - ჯანდარის დასახლება და რუსთაველის ქუჩა; სოფელი ბეთარაბში) რეაბილიტაცია. აგრეთვე, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 15 სკვერში (დამია; კიროვკა; მეწამულა; დაშტაფა; ზემო ყულარი; ქვემო ყულარი; კირიხლო; ხოჯორნი; ახკულა; არაფლო; ახლომანხედლო; წერეთელი; დიდი ბეგლიარი; თამარისი; ალაგარი) დასრულდა რეკრეაციული ზონების მოწყობის/რეაბილიტაციის პროცესი.		2605000	1056092	
1.3.1	ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ავტომატური მონიტორინგის ქსელის გაფართოება	განთავსებული სულ მცირე 4 ახალი ავტომატური (ქ. რუსთავში, ქ. ბოლნისში, ქ. გორში და სოფ. თაზაქენდში)	სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა	25%	25%	დაიწყო ევროკავშირის პროექტი „ჰაერის ხარისხი მოქალაქეთა უკეთესი ჯანმრთელობისთვის“, რომლის ფარგლებში დაგეგმილია 3 ახალი სადგურის შექმნა.		2140196	0	
1.3.2	ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის გრავიმეტრული ხელსაწყოების რაოდენობის გაზრდა	ცენტრალურ ზონაში განთავსებული სულ მცირე 4 ახალი გრავიმეტრული ხელსაწყო (რუსთავში, ბოლნისში, გორში და თაზაქენდში)	სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა	25%	25%	დაიწყო ევროკავშირის პროექტი „ჰაერის ხარისხი მოქალაქეთა უკეთესი ჯანმრთელობისთვის“, რომლის ფარგლებში დაგეგმილია ქ.გორში, ქ. ბოლნისში და თაზაქენდში გრავიმეტრული ხელსაწყოების განთავსება.		781662	0	
1.3.3	ცენტრალური ზონის ჰაერის ხარისხის მოდელის შემუშავება	შემუშავებულია ცენტრალური ზონის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მოდელი	სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო	2025 წლის IV კვარტალი	არ დაწყებულა	0%	0%	აქტივობის განხორციელება დაგეგმილია ევროკავშირის პროექტის „ჰაერის ხარისხი მოქალაქეთა უკეთესი ჯანმრთელობისთვის“ ფარგლებში, რომელიც დაიწყო საანგარიშო პერიოდში.		100000	0	
1.3.4	ქ. რუსთავში მყარი ნაწილაკებით დაბინძურების წილის დადგენის შესახებ კვლევის ჩატარება	ჩატარებული კვლევა ქ. რუსთავში მყარი ნაწილაკებით დაბინძურების წილის დადგენის შესახებ	სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო	2025 წლის IV კვარტალი	არ დაწყებულა	0%	0%	აქტივობის განხორციელება დაგეგმილია შვედეთის სამეფოს მიერ დაფინანსებული ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში, რომელიც დაიწყება 2024 წლის მეორე ნახევარში.		200000	0	
1.3.6	ქ. რუსთავის მოსახლეობის ექსპოზიციის შეფასება მავნე ნივთიერებების (PM10, PM2.5, NO2) ჭარბი კონცენტრაციებისადმი	შემუშავებული კვლევის პროტოკოლი და ჩატარებული კვლევა	სსიპ - ლ. საცვარელიძის სახელობის დავადაბათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	2024 წლის II კვარტალი	განხორციელ და	100%	100%	ევროკავშირის დაძმობილების პროექტის „ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების პრაქტიკის გაუმჯობესების ხელშეწყობა საქართველოსთვის“, საფრანგეთის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ინსტიტუტის ჩართულობით ჩატარებული იქნა ქ. რუსთავის 30+ მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ჰაერის დაბინძურების ზემოქმედების საპილოტე კვლევა, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტის - AirQ+ გამოყენებით. კვლევის შედეგები წარედგინა დაინტერესებულ პირებს 2024 წლის 19 თებერვალს ჰიბრიდულ ფორმატში.		208000	0	

1.3.7	ჰაერის დაბინძურების მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების ინდიკატორების კომპენდიუმის შემუშავება	კომპენდიუმი დამტკიცებულია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გაიდლაინის სახით	სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	2025 წლის IV კვარტალი	არ დაწყებულია	0%	0%		10000	0
1.4.1	გარემოსდაცვითი, მათ შორის ჰაერის დაცვის საკითხებზე საინფორმაციო და საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების განხორციელება	ჩატარებული სულ მცირე 10 ღონისძიება, მ.შ. 6 შეხვედრა და 4 სხვა სახის აქტივობა	სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა	40%	40%	გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორგანიზებით პროექტის „პროფესიული განათლების სისტემის მოდერნიზება საქართველოს სოფლის მეურნეობაში VET (ფაზა3)“ ფარგლებში, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით გაიმართა შეხვედრა მედიასამუშაოების წარმომადგენლებთან, სადაც მონაწილეები გაეცნენ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითად გამოწვევებს და ძირითად დამბინძურებლებს (23 მონაწილე).	12000	450
1.4.2	ჰაერის დაცვის თემატიკასთან დაკავშირებული საინფორმაციო მასალების მომზადება და გავრცელება	დაბეჭდილი და გავრცელებული 1000 ცალი საინფორმაციო მასალა	სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - მეტწილად შესრულდა	87%	87%	პროგრამა „სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება“ მიზნად ისახავს ბაღის აღმზრდელების/მეთოდისტების ცნობიერების ამაღლებას გარემოსდაცვითი განათლების მიმართულებით ტრენინგების ჩატარების გზით. განახლებული პროგრამა ფარავს ისეთ თემებს, როგორებიცაა - სათბურის აირები, სათბურის ეფექტი, ატმოსფერო, ჰაერის ცირკულაცია და ა.შ. 2024 წლის იანვარი-ივნისის თვეების ჯამში ცენტრალური ზონიდან აღნიშნული ტრენინგურსით გადამზადებულ სკოლამდელი აღზრდის 268 აღმზრდელს/მეთოდისტს გადაეცა შესაბამისი სახელმძღვანელო.	10000	1394
1.4.3	გარემოსდაცვით საკითხებზე, მათ შორის ჰაერის დაბინძურების თემაზე ტრენინგების ჩატარება სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის	ჩატარებული 5 ტრენინგი	სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - მეტწილად შესრულდა	60%	60%	პროგრამა „სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება“ მიზნად ისახავს ბაღის აღმზრდელების/მეთოდისტების ცნობიერების ამაღლებას გარემოსდაცვითი განათლების მიმართულებით ტრენინგების ჩატარების გზით. პროგრამის ერთ-ერთი თავი - კლიმატის ცვლილება ფარავს ისეთ თემებს, როგორებიცაა - სათბურის აირები, სათბურის ეფექტი, ატმოსფერო, ჰაერის ცირკულაცია და ა.შ. ცენტრალური ზონიდან აღნიშნული ტრენინგურსი სკოლამდელი აღზრდის 268 აღმზრდელს/მეთოდისტს გაიარა.	10000	2548